

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N003/15¹ რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

თამარ პაპოშვილი (სტუდენტი)

შეკითხვა

როგორ უნდა იმოქმედოს ადვოკატმა ისეთ შემთხვევაში, როდესაც კლიენტის მიერ მოთხოვილ იქნა ისეთ საქმეში მისი ინტერესების დაცვა, რომელშიც მოწინააღმდეგე მხარეს წარმოადგენს ადვოკატი და მათ შორის გაფორმებული იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება არ ითვალისწინებს ამ ვალდებულებას.

სამართლებრივი შეფასება

კლიენტსა და ადვოკატს შორის სამართლებრივი ურთიერთობის დაწყების საფუძველს წარმოადგენს მათ შორის წერილობითი ან ზეპირი ფორმით ურთიერთშეთანხმების დადება (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.1). ადვოკატ „ა“-სა და კლიენტს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება იურიდიული მომსახურების შესახებ. მხოლოდ კლიენტის მიერ ადვოკატ „ა“-ს სახელზე გაცემული რწმუნებულების არსებობის ფაქტი ვერ განიხილება შეკითხვაში მითითებული ვალდებულების წარმოშობის საფუძველი, რადგან მათ შორის არსებული ხელშეკრულება არ ითვალისწინებს კლიენტის მიერ მოთხოვნილი ქმედების შესრულების ვალდებულებას. სამოქალაქო სამართალში მოქმედებს ხელშეკრულების დადების ავტონომიურობის პრინციპი, რომლის საფუძველზე პირი თავისუფალია, ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით თავად მიიღოს გადაწყვეტილება. მოცემულ შემთხვევაში კლიენტის მოთხოვნა - ადვოკატმა „ა“-მ შეასრულოს არასახელშეკრულებო პირობა, შესაძლოა ჩაითვალოს კლიენტის მხრიდან ახალი ოფერტის გაკეთებად, რომლის მიღება დამოკიდებულია ადვოკატის სურვილზე. ადვოკატ „ა“-ს მიერ კლიენტისათვის გაწეული კონსულტაციის თაობაზე ეთიკის კომისია მიუთითებს, რომ კომისიის კომპეტენციაში არ შედის ადვოკატის მიერ გაწეული სამართლებრივი დახმარებისა და რჩევის ხარისხის შეფასება. ადვოკატთა შორის ურთიერთობა დამყარებული უნდა იყოს ნდობასა და თანამშრომლობაზე (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 10.2). კოლეგიალურობის პრინციპი არ გულისხმობს კლიენტის ინტერესების დაცვაზე უარის თქმას მხოლოდ იმ საფუძველით, რომ მოწინააღმდეგე მხარეს წარმოადგენს ადვოკატი. სამართალწარმოებაში ადვოკატის მიერ კოლეგის წინააღმდეგ მონაწილეობა დასაშვებია, როდესაც ადვოკატი წარმომადგენლობას ახორციელებს ურთიერთპატივისცემისა და კოლეგიალობის პრინციპის დაცვით.

დასკვნა

ადვოკატის მიმართ სამართალწარმოებაში კოლეგის წინააღმდეგ მონაწილეობის მიღების მოთხოვნა, მაშინ როდესაც აღნიშნულის შესრულების ვალდებულებას მათ შორის არსებული ხელშეკრულება არ ითვალისწინებს, შესაძლოა განხილული იყოს ახალ ოფერტად. კლიენტის მიერ მოთხოვნილი ქმედება თანხვედრაშია კოლეგიალურობის პრინციპთან, თუმცა შეთავაზებასთან მიმართებით ადვოკატი გადაწყვეტილების მიღებისას თავისუფალია.

¹ <https://gba.ge/pdf/5c91e402d3612.pdf/04%20February%202015%20003.15.pdf>